სამაგისტრო პროგრამა „ეკონომიკა“ - საგამოცდო ტესტები

1. ეკონომიკა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს:
ა) გარემოს;
ბ) ადამიანს, რომელიც ბაზრის საქმიანობაში მონაწილეობს;
გ) საოჯახო მეურნეობის წარმართვას;
დ) დაცვას, შენარჩუნებას.

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება უკეთ შეზღუდულობის ცნებას?
ა) ჰაერი;
ბ) ხეები ტყეში;
გ) წყალი ოკეანეში;
დ) წყალი ქალაქში.

3. ეკონომიკა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მეცნიოერება:
ა) ბიზნესისი შესახებ;
ბ)იმის შესახებ, თუ როგორ განაგებს საზოგადოება საკუთარ შეზღუდულ რესურსებს;
გ) ცენტრალური დაგეგმვის შესახებ;
დ) სახელმწიფო რეგულირების შესახებ.

4. ეკონომიკა ძირითადად შეისწავლის:
ა) საკუთრების კონცეფციას;
ბ) შეზღუდულობის კონცეფციას;
გ) გაცვლის კონცეფციას;
დ) ძალაუფლების კონცეფციას

5. რომელი არ განეკუთვნება ძირითად ეკონომიკურ კითხვებს?
ა) რა საქონელი უნდა აწარმოონ?
ბ) ვინ მიიღებს წარმოებულ პროდუქტს?
გ) რა ტიპის რესურსებს იყენებს წარმოება?
დ) როგორ უნდა აწარმოონ?

6. ახალი სკოლის ალტერნატიული ღირებულებაა:
ა) ახალი სკოლისათვის მასწავლებლების დაქირავების ხარჯები
ბ) მოგვიანებით ახალი სკოლის აშენების ხარჯები;
გ) ახალი სკოლისათვის წლიური საგადასახადო განაკვეთის ცვლილება;
დ) ის საქონელი და მომსახურება, რომელიც უნდა დათმონ ახალი სკოლის სანაცვლოდ.

7. შედეგი იმისა რომ ადამიანთა მოთხოვნილებები რესურსებს აღემატება არის:
ა) სიჭარბე;
ბ) დეფიციტი;
გ) შეზღუდულობა;
დ) მეწარმეობა.

8. რას ვუწოდებთ სურვილს, რომელიც შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას საქონლის ან მომსახურების მოხმარებით?
ა) გაცვლას;
ბ) ინვესტიციას;
გ) მოთხოვნას;
დ) ალტერნატიულ ხარჯს.

9. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ეკონომიკური მეცნიერების ფუნქციებში არ შედის:
ა) ზღვრული ანალიზი;
ბ) კრიტიკული;
გ) პრაქტიკული;
დ) პროგნოსტიკული.

10. პოზიტიური ანალიზი ნორმატიულისაგან იმით განსხვავდება, რომ პასუხობს კითხვაზე:
ა) როგორ უნდა იყოს
ბ) რა არის, როგორია სინამდვილის კანონზომიერებები
გ) რა არის ეფექტიანი
დ) რა არის უკეთესი.

11. ეკონომიკური დოვლათი არის:
ა) ყველა ის დოვლათი, რომლის შემოქმედადაც გვევლინება ადამიანი
ბ) მოხმარების საგნები
გ) წარმოების საშუალებები
დ) ტყე და სასარგებლო წიაღისეული.
12. კეინზის მიმდევრებს ეკონომიკაში მთავარი აქცენტი გადააქვთ:
ა) ფულად აგრეგატებზე
ბ) ბაზრის სახელმწიფო რეგულირების პრობლემებზე, ანუ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევაზე
გ) ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობაზე
დ) ეკონომიკის რეგულირებაზე ფორმალური წესებით.
13. სოციალურ-ეკონომიკურ მოდელში გულისხმობენ:
ა) მეწარმეობის ტრადიციებსა და მის ინფრასტრუქტურას
ბ) საკუთრების მიმართ დამოკიდებულებას, ინსტიტუტებისა და მექანიზმების კომპლექსს
გ) სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების ფორმებს
დ) ყველა პასუხი სწორია
14. ყველა ინსტიტუტი მოიცავს:
ა) ეკონომიკის სუბიექტებს
ბ)კერძო, მუნიციპალურ და სახელმწიფო ფირმებს (საწარმოებს)
გ) ადამიანთა ურთიერთობების მყარ ფორმებს (ნორმებს, წესებს)
დ) სახელმწიფო დაწესებულებებს.
15. მოთხოვნის ელასტიურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს:
ა) მოთხოვნის სიდიდის ცვლილების პროცენტს
ბ) საქონლის ერთეულის ფასის ცვლილების პროცენტს
გ) მიწოდების სიდიდის ცვლილებას მოთხოვნასთან შედარებით
დ) რამდენი პროცენტით იცვლება მოთხოვნა ფასის ყოველი პროცენტით შეცვლისას
16. ერთ რომელიმე სექტორში ინვესტიციების ცვლილება ბევრად მეტ ცვლილებას ახდენს მთლიანად სახალხო მეურნეობაზე. ამ მოვლენის ახსნას იძლევა:
ა) მულტიპლიკატორის თეორია
ბ) ენგელის კანონი
გ) კლებადი მწარმოებლურობის კანონი
დ) ფულის ინოვაციური თეორია.
17. რა შემთხვევაში შეიძლება ფული ვუწოდოთ ფარშევანგის ბუმბულს?
ა) თუ იგი იოლად იყოფა ნაწილებად და არსებობს საშუალება "ხურდის დაბრუნებისა"
ბ) თუ იგი იშვიათი საქონელია
გ) თუ ყველა ბუმბული იდენტურია ზომისა და ფორმის მიხედვით
დ) თუ ყველა ღებულობს მას როგორც გადახდის საშუალებას საქონელსა და მომსახურებაზე.
18. ბანკის მოგების ძირითადი წყაროა:
ა) შემოსავალი ბანკის სეიფებში ძვირფასეულობის შენახვაზე
ბ) საპროცენტო სხვაობა გაცემულ სესხებსა და მიღებულ ანაბრებზე
გ) ანაზღაურება ანგარიშების მომსახურებაზე
დ) შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან.
19. პრაქტიკა ზუსტად არის:
ა) ეკონომიკური თეორიის ამოსავალი ბაზა, რეალური ცხოვრების გაუმჯობესების საშუალება, ცხოვრების ჭეშმარიტებისა და მცდარობის კრიტერიუმი
ბ) შემეცნების პროცესის ამოსავალი ბაზაა
გ) ეკონომიკური რეალობის ზუსტი ასახვის წყარო
დ) ეკონომიკური ცხოვრების კრიტერიუმი.
20. დოვლათს ეკონომისტები უწოდებენ:
ა) ყველაფერს, რასაც ნივთიერი სახე აქვს
ბ) ყველაფერს, რასაც არანივთიერი სახე აქვს
გ) ყველაფერს, რისი გამოყენებაც შეგვეძლება სამომავლოდ
დ) ყველაფერს, რის მითვისებასაც ადამიანები ისურვებდნენ.

21. ალტერნატიული დანახარჯი არის:
ა) ის უკეთესი ვარიანტია, რომელიც დავთმეთ ამორჩეულის სანაცვლოდ
ბ) არის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც დავთმეთ
გ) ის ვარიანტია, რომელიც ალბათ უკეთეს შედეგს მოგვიტანდა
დ) ყველაფერი, რაც დავთმეთ
22. თანამედროვე სამეურნეო სისტემის სტრუქტურული რგოლებია:
ა) ყველა პასუხი სწორია
ბ) ტექნიკურ საშუალებათა ერთობლიობა
გ) ტექნოლოგიები (განათლებაში, ჯანდაცვაში)
დ) სოციალური სისტემები (მაგალითად შემოსავლების განაწილების)
23. ეკონომიკური წრებრუნვის ელემენტებია:
ა) წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება, მოთხოვნილება
ბ) წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება
გ) წარმოება და მოხმარება
დ) განაწილება, გაცვლა, მოხმარება, მოთხოვნილება.
24. სიტყვა "საკუთრება" აღნიშნავს:
ა) მხოლოდ ფიზიკურ საგნებს ბ) მხოლოდ საავტორო უფლებებს გ) ფიზიკურ საგნებს და ფულად საშუალებებს
დ) ყველაფერს თავისას, პირად კუთვნილებას, ქონებას, სიმდიდრეს.
25. ზღვრული დანახარჯები ეწოდება:
ა) იმ დამატებით ხარჯებს, რომელიც აუცილებელია კიდევ ერთი ერთეული პროდუქციის წარმოებისათვის
ბ) საშუალო საერთო დანახარჯებს
გ) მუდმივ საშუალო დანახარჯებს
დ) ცვლად საშუალო დანახარჯებს.
26. რა არის რეალური საბანკო პროცენტი:
ა) სხვაობა კრედიტებზე საბანკო პროცენტსა და ეკონომიკური ზრდის რეალურ ტემპს შორის;
ბ) სხვაობა კრედიტებზე საბანკო პროცენტსა და ფასების საერთო დონის ცვლილების ტემპს შორის;
გ) გაცემულ სესხებზე გადასახდელი პროცენტი მეტად კრედიტუნარიანი კლიენტებისათვის;
დ) პროცენტული სხვაობა გაცემულ კრედიტებსა და მიღებულ ანაბრებზე.
27. ვისთვის შეიძლება აღმოჩნდეს ინფლაცია სასარგებლო:
ა) ფერმერისათვის, რომელიც გრძელვადიან კრედიტს იხდის;
ბ) მუშისათვის, რომელმაც თავისი დანაზოგის 70% ჩადო სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში დაფარვის ხანგრძლივი ვადით;
გ) პენსიონერისათვის;
დ) სააქციო საზოგადოების ობლიგაციების მყიდველისათვის.
28. ციკლური უმუშევრობა მოიცავს (შეეხება) მათ ვინც:
ა) არ შეუძლია სამუშაო გამოძებნოს მოთხოვნის საერთო დაცემასთან დაკავშირებით;
ბ) სამუშაო დაკარგა სტრუქტურულ ცვლილებასთან დაკავშირებით გარკვეული კვალიფიკაცის მუშახელზე მოთხოვნის გამო;
გ) არ გააჩნია ერთ წელზე მეტი ხნის სამუშაო;
დ) იძულებულია შეიცვალოს სამუშაო ადგილი შრომაზე მოთხოვნა- მიწოდებას შორის სისტემატური შეუსაბამობის გამო.
29. გამოთქმა: „იმაზე, რაც ყველასათვის საერთოა, თითქმის არავინ ზრუნავს, რადგან ადამიანები მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რაც თვითონ ეკუთვნით, და არა იმაზე, რაც სხვებისაცაა“, ეკუთვნის:
ა) არისტოტელეს
ბ) სოკრატეს
გ) პლატონს
დ) ადამ სმითს.
30. აშშ-ს ფედერალური მთავრობის ხარჯების ყველაზე დიდი კატეგორია არის:
ა) ეროვნული თავდაცვა
ბ) შემოსავლის უსაფრთხოება
გ) სოციალური უსაფრთხოების ხარჯები
დ) „მედიქეა“
31. ქვემოთ ჩამოთვლილიდან საზოგადოებრივ საქონელს მიეკუთვნება:
ა) ქვეყნის თავდაცვა
ბ) თევზები ზღვაში

გ) ნაყინი და იოგურტი
დ) ვეშაპები
32. ალუმინის წარმოების უარყოფითი ეფექტის დაძლევის გზაა:
ა) გარეგანი ეფექტის გათვალისწინება
ბ) გაყიდული ალუმინის თითოეული ტონის დაბეგვრა
გ) სუბსიდირება
დ) ტექნოლოგიის გაზიარება
33. დაინტერესებული მხარეები ვერ ახერხებენ გარეგანი ეფექტების პრობლემის გადაჭრას:
ა) საოპერაციო დანახარჯების გამო
ბ) იმის გამო, რომ მრავალი დაინტერესებული მხარე არსებობს
გ) იმის გამო, რომ თითოეული მხარე უკეთესი გარიგების მიღწევას ცდილობს
დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილის გამო.
34. დამატებითი ერთეულის წარმოების ხარჯს ეწოდება:
ა) მთლიანი დანახარჯი
ბ) ზღვრული დანახარჯი
გ) ალტერნატიული დანახარჯი
დ) ალტერნატიული ღირებულება.
35. თუ საქონელზე მოთხოვნა მის მიწოდებაზე სწრაფად გაიზრდება, როგორ შეიცვლება წონასწორული ფასი?
ა) გაიზრდება
ბ) დაეცემა
გ) უცვლელი დარჩება
დ) ოპტიმალური გახდება.
36. ვინ განსაზღვრავს თავისუფალ ბაზარზე გასაყიდი საქონლის რაოდენობასა და ფასს?
ა) მომხმარებლები ბ)მიმწოდებლები გ) მიმწოდებლები და მომხმარებლები დ) მთავრობა.
37. როცა ფირმები თავიანთ პროდუქციას კონკურენტულ ბაზარზე ყიდიან, მათ შეზღუდეული გავლენა აქვთ ფასებზე, რადგან:
ა) სხვა გამყიდველებიც მსგავს პროდუქტებს სთავაზობენ მომხმარებელს
ბ) გამყიდველებს აქვთ კონკურენტებზე მაღალი ფასების დაწესების მიზეზი
გ) თითოეულ მყიდველს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პროდუქტის ფასზე
დ) სხვა გამყიდველები უკეთეს პროდუქციას სთავაზობენ ბაზარზე
38. ცნობილი გამოთქმა „ცხოვრებაში არაფერია უეჭველი სიკვდილისა და გადასახადების გარდა“, ერკუთვნის:
ა) ალფრედ მარშალს
ბ) ბენ ფრანკლინს
გ) მალთუსს
დ) ლაფერს.
39. აშშ-ს ფედერალური მთავრობის შემოსავლის ყველაზე დიდი წყაროა:
ა) ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადი
ბ) სოციალური დაზღვევის გადასახადი
გ) კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი
დ) აქციზური გადასახადი.
40. ქვემოთ ჩამოთვლილიდან საერთო რესურსებს არ მიეკუთვნება:
ა) ნაყინი და იოგურტი
ბ) სუფთა ჰაერი და წყალი
გ) გადატვირთული უფასო გზები
დ) თევზები ზღვაში.
41. გარეგანი ეფექტი არის:
ა) ერთი პირვნების ქმედების გავლენა მეორე პიროვნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე
ბ) ერთი ადამიანის გავლენა მეორეზე
გ) გარემოს დაბინძურება
დ) ძაღლების ყეფა
ე) ახალი ტექნოლოგიების კვლევა.
42. იმისათვის რომ საბაზრო წონასწორობა საზოგადოებრივ ოპტიმუმთან დააახლოოს, დადებით გარეგან ეფექტს სჭირდება:
ა) მოთხოვნის მრუდის გადაადგილება

ბ) უფრო მცოდნე მოსახლეობის მატება
გ) სუბსიდირება
დ) მიწოდების ზრდა.

43. პროდუქტებს, რომლებიც ჩვეულებრივ ერთად გამოიყენება მაგალითად, როგორც მანქანა და საწვავი ეწოდება:
ა) შემცვლელი საქონელი
ბ) შემავსებელი საქონელი
გ) ელასტიური საქონელი
დ) მდარე საქონელი.

44. ფასი, რომელიც აწონასწორებს რაოდენობას, რომლის ყიდვაც მყიდველებს უნდათ და რაოდენობას, რომლის გაყიდვაც უნდათ გამყიდველებს არის:
ა) წონასწორული ფასი
ბ) კონკრეტული ფასი
გ) ალტერნატიული ფასი
დ) კომერციული ფასი.

45. ადამიანები საქონელსა და მომსახურებას ჩვენთვის აწარმოებენ:
ა) იმიტომ, რომ სარგებელს ელიან
ბ) დიდსულოვნების გამო
გ) იმიტომ, რომ ჩვენ ვიმსახურებთ
დ) ხელისუფლების მოთხოვნის გამო.

46. ბაზარი კონკურენტულია, სადაც:
ა) მიმწოდებლებს მთავრობის მხრიდან არანაირი აკრძალვა არა აქვთ
ბ) მომხმარებლებს არ შეუძლიათ თავისუფალი ურთიერთობა გამყიდველებთან
გ) მრავალი გამყიდველი და მრავალი მყიდველია, რომლებიც უმნიშვნელო გავლენას ახდენენ ფასებზე
დ) მრავალი მყიდველი და რამდენიმე გამყიდველია.

47. მოკლევადიან პერიოდში ფასს განსაზღვრავს (კარნახობს):
ა) მიწოდება
ბ) მოთხოვნა
გ) მიწოდება და მოთხოვნა
დ) მოთხოვნის ელასტიურობა.

48. ჩამოთვლილ სისტემათაგან საბაზროს მიეკუთვნება:
ა) თავისუფალი და თანამედროვე
ბ) თავისუფალი და ტრადიციული
გ) თავისუფალი და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური
დ) ტრადიციული და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური.

49. ჩამოთვლილთაგან ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი პრინციპია:
ა) თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთქმედების
ბ) კრიტიკული ანალიზის
გ) მეცნიერულ აბსტრაქციის მეთოდი
დ) ფულადი მიმოქცევის.

50. მოთხოვნა არის:
ა) საქონლის და მომსახურების ყიდვის შესაძლებლობა
ბ) საქონლის და მომსახურების ყიდვის სურვილი
გ) განსაზღვრულ პერიოდში კონკრეტულ ფასად, კონკრეტული საქონლის, ან მომსახურების ყიდვის სურვილი
დ) განსაზღვრულ პერიოდში კონკრეტულ ფასად, კონკრეტული საქონლის ან მომსახურების ყიდვის სურვილი, გამყარებული შესაბამისი გადახდის უნარით.

51. ბაზარზე "ნაღების მოხდის ფასი" გამოიყენება:
ა) როდესაც ბაზარზე ჩნდება ადგილი, ე.ი. ახალი პროდუქტის გამოშვებაში კონკურენტის დროში დასწრების საშუალება
ბ) როდესაც ბაზარზე არ ჩნდება ახალი ადგილი
გ) როდესაც ტარდება საბაზრო კონიუნქტურის მომგებიანი ჩამოყალიბების მიზნით პოლიტიკა ფასების მანევრირების საშუალებით
დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

52. ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობა გაიანგარიშება;
ა) მოთხოვნის ცვლილების სიდიდის შეფარდებით ფასების ცვლილების სიდიდესთან

ბ) მოთხოვნის სიდიდის შეფარდებით საქონლის ერთეულის ფასთან
გ) მოთხოვნის სიდიდის ცვლილების შეფარდებით თავდაპირველ მოთხოვნასთან
დ) მიწოდების მოცულობის ცვლილების სიდიდის შეფარდება თავდაპირველ მოთხოვნასთან.

53. ანალიზის დონეების მიხედვით ეკონომიკურ მეცნიერებებს ყოფენ:
ა) მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა
ბ) მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკა, ჰიპერეკონომიკა
გ) მსოფლიო ეკონომიკა და მეგაეკონომიკა
დ) მიკროეკონომიკა და საერთაშორისო ეკონომიკა.

54. ეკონომიკური სუბიექტების სახეობებია:
ა) შინამეურნეობები, საწარმოები (ფირმები), სახელმწიფო
ბ) შინამეურნეობები, სახელმწიფო, იურიდიული პირები
გ) იურიდიული პირები, ინდმეწარმე, პოლიტიკოსები
დ) იურიდიული პირები და ფიზიკური პირები.

55. ჩამოთვლილთაგან საბაზრო სისტემებს მიეკუთვნება:
ა) თავისუფალი კონკურენციის საბაზრო ეკონომიკა, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა
ბ) ტრადიციული სისტემა, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა
გ) ტრადიციული სისტემა, თავისუფალი კონკურენციის საბაზრო ეკონომიკა
დ) ტრადიციული სისტემა, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა.

56. რენტა არის:
ა) მიწის, წყლის, მთის და სხვა გადასახადი.
ბ) მხოლოდ მიწის გადასახადი
გ) შემოსავლის გადასახადი.
დ) პროცენტი.

57. ეკონომიკური სუბიექტების სახეობებია:
ა) საწარმო და სახელმწიფო
ბ) შინამეურნეობა და საწარმო
გ) შინამეურნეობა, საწარმო (ფირმა), სახელმწიფო
დ) შინამეურნეობა, საწარმო, ფირმა

58. სრულყოფილი კონკურენციის ძირითადი ნიშნებია:
ა) შეზღუდული ინფორმაცია საქონლის ფასებზე
ბ) ნებისმიერ ფირმას თავისუფლად შეუძლია ბაზარზე შესვლა და გასვლა, შეუზღუდავად იღებს ინფორმაციას ბაზრის მდგომარეობაზე, რესურსებზე და საქონლის ფასის შესახებ, ხარჯებზე, საქონლის ხარისხზე
გ) ბაზარზე ფასების ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელ როლს შინამეურნეობები თამაშობენ
დ) ფირმას თავისუფლად შეუძლია ბაზრიდან გასვლა

59. მონოპოლისტური კონკურენციისთვის მთავარი დამახასიათებელია ის, რომ:
ა) ბაზარზე არსებობს მხოლოდ ერთი მიმწოდებელი
ბ) ბაზარზე არსებობს მრავალი მყიდველი
გ) ბაზარზე არსებობს მრავალი მიმწოდებელი
დ) არსებობს რამდენიმე მონოპოლისტური მიმწოდებელი.

60. განვითარებული ქვეყნების ძირითადი ეკონომიკურ მოდელებს ყოფენ შემდეგ ძირითად ჯგუფებად:
ა) ლიბერალური, სოციალურად ორიენტირებული, სოციალ-დემოკრატიული
ბ) ლიბერალური, აზიური, ქართული
გ) აფრიკული, იაპონური, ჩინური
დ) სკანდინავიური, დასავლეთ ევროპის, აღმოსავლეთ ევროპის.

61. ბაზრის ფუნქციებია:
ა) საშუამავლო, მარეგულირებელი
ბ) ინფორმაციული, ფასწარმომქნელი
გ) ინფორმაციული, ფასწარმომქმნელი, საშუამავლო, მარეგულირებელი, სანქციონირების
დ) სანქციონირების, ფასწარმომქნელი.

62. ყველაზე მცირე ეკონომიკური ერთეულების (საწარმოების, ფირმების) დონეზე ეკონომიკას შეისწავლის:
ა) მიკროეკონომიკა
ბ) ჰიპერეკონომიკა

გ) მაკროეკონომიკა
დ) ეროვნული ეკონომიკა.

63. მოკლევადიან პერიოდში ფასს განსაზღვრავს (კარნახობს):
ა) მოთხოვნის ელასტიურობა
ბ) მიწოდება
გ) მიწოდება და მოთხოვნა
დ) მოთხოვნა.

64. ჩამოთვლილ სისტემათაგან საბაზროს მიეკუთვნება:
ა) თავისუფალი და ტრადიციული
ბ) თავისუფალი და თანამედროვე
გ) თავისუფალი და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური
დ) ტრადიციული და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური

65. ჩამოთვლილთაგან ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი პრინციპია:
ა) თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთქმედების
ბ) კრიტიკული ანალიზის
გ) მეცნიერულ აბსტრაქციის მეთოდი
დ) ფულადი მიმოქცევის.

66. როდესაც ხდება ფასების დროებითი დაკლება ახალ ბაზარზე პოზიციების მოსაპოვებლად, ასეთი ფასი არის:
ა) დანერგვის ფასი
ბ) ნაღების მოხდის ფასი
გ) ფსიქოლოგიური ფასი
დ) კონკურენტული ფასი

67. ეკონომიკის საგნის ზუსტი განმარტებაა:
ა) ეკონომიკა ესაა მეცნიერება საწარმოო რესურსების, საქონლიწარმოების, გაცვლის, ფულის მიმოქცევისა და დოვლათის განაწილების შესახებ
ბ) ეკონომიკა ესაა მეცნიერება საწარმოო რესურსების შესახებ
გ) ეკონომიკა ესაა მეცნიერება საქონლიწარმოების, გაცვლის შესახებ
დ) ეკონომიკა ესაა მეცნიერება დოვლათის განაწილების შესახებ.

68. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ეკონომიკური მეცნიერების ძირითად ფუნქციებში არ შედის:
ა) პრაქტიკული ფუნქცია
ბ) სამეცნიერო-შემეცნებითი ფუნქცია
გ) კრიტიკული ფუნქცია
დ) თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის პრინციპი.

69. ეკონომიკური ანალიზის დონის მიხედვით მეცნიერებათა დაყოფისას, ცალკე ჯგუფს არ შეადგენს:
ა) საერთაშორისო ვაჭრობა
ბ) მიკროეკონომიკა
გ) მაკროეკონომიკა
დ) მეგაეკონომიკა

70. ეკონომიკური თეორიის პრინციპებს არ მიეკუთვნება:
ა) მიკრო და მაკროანალიზის ერთიანობა
ბ) თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთქმედება
გ) მომავლის განჭვრეტა
დ) რეალური ისტორიზმი

71. ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში, პოლ სამუელსონი გამოყოფს ეკონომიკის შემდეგ ძირითად პრობლემებს:
ა) რა, როგორ და ვისთვის ვაწარმოოთ
ბ) რა, რამდენი და როგორი ხარისხის ვაწარმოოთ
გ) როგორ, რა რესურსებით და რა ტექნოლოგიებით ვაწარმოოთ
დ) რა რაოდენობის, ხარისხის და ფასის საქონელი ვაწარმოოთ.

72. ეკონომიკური ეწოდება დოვლათს:
ა) თუ მისი დაუფლება, სხვა დოვლათის დაუფლებაზე უარის თქმის შედეგია
ბ) თუ მისი დაუფლებისას ფულს არ ვიხდით
გ) ნაკადულის წყალს

დ) ყველა უფასო დოვლათს

73. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მთავარი მიმართულებებია:

ა) ნეოკლასიციზმი

ბ) კეინსიანიზმი და მონეტარიზმი

გ) ყველა ჩამოთვლილი

დ) ინსტიტუციონალიზმი

74. სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის 3 ძირითადი ამოცანიდან, რომელსაც წყვეტს ეკონომიკა, არცერთს არ მიეკუთვნება:

ა) ვინ აწესებს ფასებს

ბ) ვინ ითვისებს წარმოების საშუალებებს, ვინ და როგორ წარმართავს სამეურნეო საქმიანობას, ვის ერგება სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგი

გ) ვინ ფლობს ეკონომიკურ ძალაუფლებას

დ) ვინ ითვისებს წარმოების საშუალებებს.

75. განვითარებული ქვეყნების მოდელებიდან, სოციალურად ორიენტირებული მოდელის ეტალონად მიჩნეულია:

ა) გერმანიის ეკონომიკა

ბ) დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა

გ) აზიის ნავთობით მდიდარი ქვეყნების ეკონომიკა

დ) თურქეთის ეკონომიკა

76. მიწოდების კანონია ის, რომ:

ა) მიწოდება მცირდება ფასის შემცირებისას

ბ) მიწოდება იზრდება ფასის გადიდებისას

გ) საქონლის რაოდენობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია საქონლის ერთეულის ფასთან

დ) მიწოდება იზრდება მოთხოვნის ზრდისას.

77. თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკა არის (მოიცავს):

ა) ეკონომიკური მეცნიერების ყველა იმ მიმართულებების სინთეზი, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკური პროცესების შესწავლისა და რეგულირებისათვის

ბ) მენეჯმენტის და ფინანსური დისციპლინების სინთეზია

გ) დარგობრივი და ფინანსური დისციპლინების სინთეზია

დ) მიკრო და მაკროეკონომიკური დისციპლინების სინთეზია.

78. მარტივი კლასიფიკაციის მიხედვით გამოყოფენ ეკონომიკურ მეცნიერებათა შემდეგ ჯგუფებს:

ა) ფინანსების და კრედიტის მიმართულების დისციპლინები

ბ) ზოგადი, სპეციალური და დარგობრივი ეკონომიკური მეცნიერებანი

გ) მრეწველობის, აგრარული სფეროს და ვაჭრობის დარგის შემსწავლელი დისციპლინები

დ) ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და სტატისტიკის მეცნიერებანი.

79. ეკონომიკური ანალიზის დონის მიხედვით ეკონომიკური მეცნიერებას ყოფენ:

ა) მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მეზოეკონომიკა, მეგაეკონომიკა, ჰიპერეკონომიკა

ბ) მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მეზოეკონომიკა, მეგაეკონომიკა, ჰიპერეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა

გ) მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მეზოეკონომიკა

დ) მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა.

80. ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი პრინციპი არის:

ა) შემეცნებითი

ბ) პროგნოზირების

გ) კრიტიკულობის

დ) თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთქმედების.

81. ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში, პოლ სამუელსონი გამოყოფს ეკონომიკის შემდეგ ძირითად პრობლემებს:

ა) რა, როგორ და ვისთვის ვაწარმოოთ ბ)რა, რამდენი და როგორი ხარისხის ვაწარმოოთ გ)როგორ, რარესურსებით და რა ტექნოლოგიებით ვაწარმოოთ დ) რა რაოდენობის, ხარისხის და ფასის საქონელი ვაწარმოოთ.

82.ალტერნატიული დანახარჯი არის:

ა) იშვიათი რესურსები

ბ) უფასო დოვლათი

გ) ის უკეთესი ვარიანტი, რომელიც დავთმეთ რაღაცის სანაცვლოდ

დ) ის, რაც ამოვირჩიეთ.

83. კლასიკური ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებლები იყვნენ:

ა) ადამ სმითი და დეივიდ რიკარდო
ბ) კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი
გ) ჯეიმს ტობინი და მილტონ ფრიდმენი
დ) ალფრედ მარშალი და ჯონ კეინზი.

84. თანამედროვე ეკონომიკის სტრუქტურული რგოლებია:

ა) ტექნიკური და ტექნოლოგიური
ბ) ტექნიკური, ტექნოლოგიური, სოციალური, სამართლებრივი, ეკონომიკური
გ) სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური
დ) ტექნოლოგიური და სოციალური

85. განვითარებული ქვეყნების მოდელებიდან, ლიბერალური ეკონომიკური მოდელად თვლიან:

ა) აშშ-ს ეკონომიკას
ბ) გერმანიის ეკონომიკას
გ) იაპონიის ეკონომიკას
დ) ჩინეთის ეკონომიკას.

86. მოთხოვნა არის:

ა) განსაზღვრულ პერიოდში კონკრეტულ ფასად კონკრეტული საქონლის ან მომსახურების ყიდვის სურვილი, გამაგრებული შესაბამისი გადახდის უნარით და მზადყოფნით
ბ) განსაზღვრულ პერიოდში კონკრეტულ ფასად კონკრეტული საქონლის ან მომსახურების ყიდვის სურვილი, გამაგრებული შესაბამისი გადახდის უნარით
გ) განსაზღვრულ პერიოდში კონკრეტულ ფასად კონკრეტული საქონლის ან მომსახურების ყიდვის სურვილი, რომელიც გამაგრებულია ფულადი თანხით
დ) განსაზღვრულ პერიოდში კონკრეტულ ფასად კონკრეტული საქონლის ან მომსახურების ყიდვის სურვილი და მზადყოფნა

87. წარმოების ფაქტორებს მიეკუთვნება:

ა) მიწა და შრომა;
ბ)შრომითი რესურსები;
გ) მიწა, შრომა და კაპიტალი;
დ) სამეწარმეო უნარი, მიწა, შრომა და კაპიტალი;

88. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება ეკონომიკური სისტემის ტიპებს:

ა) ტრადიციული;
ბ) მბრძანებლური;
გ) ტიპიური;
დ) შერეული.

89. საბაზრო ეკონომიკის რომელი მოდელისთვისაა დამახასიათებელი მუშაკთა ხანგრძლივი, პრაქტიკულად სამუდამოდ დაქირავება:

ა) იაპონური;
ბ) გერმანული;
გ) ამერიკული;
დ) ფრანგული.

90. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საკუთრების ფორმებს:

ა) კერძო საკუთრება;
ბ) სახელმწიფო საკუთრება;
გ) შერეული საკუთრება;
დ) დროებითი საკუთრება.

91. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება ბაზრის ტიპებს:

ა) განუვითარებელი ბაზარი;
ბ) ძვირი ბაზარი.
გ) დეფორმირებადი ბაზარი;
დ) რეგულირებადი ბაზარი.

92. ფასისა და მოთხოვნის უკუპროპორციულ დამოკიდებულებას ეწოდება:

ა) მოთხოვნის კანონი;
ბ)მიწოდების კანონი;
გ) გადახდის კანონი;
დ) ფასის კანონი.

93. ფასისა და მიწოდების პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას ეწოდება:
ა) მიწოდების შემცირება;
ბ) მიწოდების კანონი;
გ) მოთხოვნის კანონი;
დ) მიწოდების მოცულობა.
94. ნეოკლასიკური თეორიის რომელი თანამედროვე მიმართულება ითვლება ეკონომიკის სტაბილიზაციის თეორიად, რომელშიც წამყვანი ადგილი უკავია ფულად ფაქტორებს:
ა) მონეტარიზმი;
ბ) ნეოლიბერალიზმი;
გ) კონვერგენციის თეორია;
დ) კეინზური თეორია.
95. ბაზარზე გაყიდვაში არსებული საქონელთა რაოდენობა, რომელიც იყიდება განსაზღვრულ ფასებში, არის:
ა) საქონელი;
ბ) მოთხოვნა;
გ) მიწოდება;
დ) ვაჭრობა.
96. ბაზარზე არსებული მოთხოვნა საქონლის რაოდენობაზე, რომლის ყიდვაც შეუძლია მომხმარებელს, არის:
ა) გადახდისუნარიანი მოთხოვნა;
ბ) გადაუხდელი მოთხოვნა;
გ) საქონელმიმოქცევა;
დ) სასურველი მოთხოვნა.
97. სიტუაცია, როდესაც მიწოდება და მოთხოვნა გაწონასწორებულია, არის:
ა) დროებითი წონასწორობა;
ბ) საბაზრო სიტუაცია;
გ) ნაწილობრივი წონასწორობა;
დ) წონასწორობა.
98. მოთხოვნისა და მიწოდების თვისება შეიცვალოს მათი განმსაზღვრელი ფაქტორების დინამიკის შესაბამისად, არის:
ა) ელასტიკურობა;
ბ) რეაგირება;
გ) დინამიკა;
დ)ფაქტორული ცვლილება.
99. საბაზრო ეკონომიკის რომელი მოდელი არის დაფუძნებული ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე და მოსახლეობის აქტიური ნაწილის გამდიდრებაზე:
ა) ფრანგული;
ბ) ამერიკული;
გ) შვედური;
დ) გერმანული.
100. ეკონომიკა, რომლის რეგულირება ხორციელდება საბაზრო მექანიზმებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ბერკეტების ურთიერთშერწყმით, არის:
ა) ტრადიციული ეკონიმიკა;
ბ) მბრძანებლური ეკონომიკა;
გ) შერეული საბაზრო ეკონომიკა;
დ) წმინდა საბაზრო ეკონომიკა.
101. სხვაობა ფირმის მთლიან შემოსავალსა და წარმოების ხარჯებს შორის არის:
ა) ნორმალური მოგება;
ბ) საბუღალტრო მოგება;
გ) ფირმის მოგება;
დ) ნაწილობრივი მოგება;
102. ფირმის მთლიანი შემოსავლიდან აშკარა ხარჯების გამოკლების შემდეგ დარჩენილი თანხები არის:
ა) ნორმალური მოგება;
ბ) საბუღალტრო მოგება;
გ) ფირმის მოგება;

დ) ნაწილობრივი მოგება;

103. არჩეული საქონლისა და მომსახურების წარმოების ხარჯები არის:

ა) ფირმის საშუალო დანახარჯი;

ბ) ალტერნატიული ხარჯები;

გ)ფირმის მთლიანი დანახარჯი;

დ) აშკარა დანახარჯი;

104. ერთეული საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი არის:

ა) ფირმის საშუალო შემოსავალი;

ბ) ფირმის საზღვრითი შემოსავალი;

გ) ფირმის მთლიანი შემოსავალი;

დ) ფირმის მუდმივი შემოსავალი.

105. დროის ერთეულში კაპიტალის მრავალი წრებრუნვით მიღებული ფულადი თანხები არის:

ა) ფირმის საშუალო შემოსავალი;

ბ) ფირმის საზღვრითი შემოსავალი;

გ) ფირმის მთლიანი შემოსავალი;

დ) ფირმის მუდმივი შემოსავალი;

106. კანონიერი გზით მოგების მიღების მიზნით წარმართული სამეწარმეო საქმიანობა არის:

ა) სამსახური;

ბ) მოგების მიღება;

გ) ბიზნესი;

დ) დასაქმება მოგებისთვის;

107. ჩამთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება მეწარმეობის (ბიზნესის) ფორმებს:

ა) ინდივიდუალური მეწარმეობა;

ბ) პარტნიორობა (ამხანაგობა);

გ) კერძო მეწარმეობა;

დ) კორპორაცია (სააქციო საზოგადოება);

108. ბიზნეს გეგმის რომელ ნაწილშია მოცემული: მიზანი, სიახლე, მოცულობა, ასორტიმენტი, მოგება და სხვ.:

ა) წარმოების გეგმაში; ბ) ორგანიზაციულ გეგმაში; გ) რეზიუმეში; დ) მარკეტინგის სტრატეგიაში;

109. საქონლის ყოველი დამატებითი ერთეულის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი არის:

ა) ფირმის საშუალო შემოსავალი;

ბ) ფირმის საზღვრითი შემოსავალი;

გ) ფირმის მთლიანი შემოსავალი;

დ) ფირმის მუდმივი შემოსავალი;

110. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება მონოპოლიურ გაერთიანებათა ფორმებს:

ა) კარტელი;

ბ) სინდიკატი;

გ) კონცერნი;

დ) მარკეტი.

111. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება წარმოების ფაქტორებს:

ა) შრომა;

ბ)ფირმა;

გ) მიწა;

დ)კაპიტალი.

112.ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება მენეჯმენტის მეთოდებს:

ა) მენეჯმენტის მეთოდი;

ბ) ადმინისტრაციული მეთოდი;

გ) ეკონომიკური მეთოდი;

დ) სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდი.

113. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება მარკეტინგის ფორმებს:

ა) შიდა მარკეტინგი;

ბ) ფინანსური მარკეტინგი;

გ) საგარეო მარკეტინგი;

დ) დროებითი მარკეტინგი.

114. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება ფულის ფუნქციებს:

ა) ღირებულების საზომი;

ბ) მიმოქცევის საშუალება;

გ) ბიზნესის საშუალება;

დ)გადახდის საშუალება.

115. მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის ფორმულა არის:

ა) P = V/P

ბ) M = PQ/V

გ) Q = P/V

დ) V = QV/P

116. ფულადი სისტემა, სადაც საყოველთაო ექვივალენტის როლი დაკისრებული აქვს ორ მეტალს: ოქროს და ვერცხლს, არის:

ა) მონომეტალიზმი;

ბ) ოქროს მეტალიზმი;

გ) ბიმეტალიზმი;

დ) ვერცხლის მეტალიზმი.

117. თანაფარდობა ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს შორის არის:

ა) სავაჭრო ბალანსი

ბ) საერთაშორისო ბალანსი

გ) საგარეო ბალანსი

დ) ქვეყნის მთავარი ბალანსი.

118. დაბანდებები ძირითად კაპიტალსა და საწარმოო–მატერიალურ მარაგებში არის:

ა) ფინანსური ინვესტიციები;

ბ) რეალური ინვესტიციები;

გ) პორტფელური ინვესტიციები;

დ) სახელმწიფო ინვესტიციები.

119. ინფლაციის მაღალი დონე, სახელმწიფო ბიუჯეტის და საგადასამხდელო ბალანსის ქრონიკული დეფიციტი, საგადასახადო სისტემის მოშლა, საგარეო ვალების გადახდის უუნარობა და სხვ. ახასიათებს:

ა) საგადასახადო კრიზისს.

ბ) ეკონომიკურ კრიზისს;

გ) ფულად–საკრედიტო კრიზისს;

დ) ფინანსურ კრიზისს;

120. რისი წარმოშობის მიზეზია ერთობლივი მოთხოვნის მეტობა ერთობლივი მიწოდების მიმართ:

ა) მიწოდების ინფლაციის;

ბ) მოთხოვნის ინფლაციის;

გ) ღია ინფლაციის;

დ) ფარული ინფლაციის.

121. მოსახლეობის ცხოვრების უნარიანობის უზრუნველყოფას გულისხმობს:

ა) ცხოვრების მინიმალური დონე;

ბ) ცხოვრების საშუალო დონე.

გ) კეთილდღეობა;

დ) ცხოვრების მყარი დონე;

122. ჩამოთვლილი გადასახადებიდან არაპირდაპირს მიეკუთვნება:

ა) მოგების გადასახადი

ბ) საშემოსავლო გადასახადი

გ) ქონების გადასახადი

დ) დამატებული ღირებულების გადასახადი.

123. რომელი არ მიეკუთვნება მაკროეკონომიკური პროპორციების ჯგუფებს:

ა) დარგობრივი პროპორციები

ბ) დემოგრაფიული პროპორციები

გ) ტერიტორიული პროპორციები

დ) სოციალურ–ეკონომიკური პროპორციები.

124. ჩამოთვლილი გადასახადებიდან პირდაპირს მიეკუთვნება:
ა) დღგ
ბ) აქციზური გადასახადი
გ) საბაჟო გადასახადი
დ) საშემოსავლო გადასახადი.
125. ეკონომიკის ვარდნის შედეგად უმუშევრად დარჩენილები მიეკუთვნებიან უმუშევართა:
ა) ფრიქცულ ფორმას
ბ) სტრუქტურულ ფორმას
გ) ციკლურ ფორმას
დ) ტექნოლოგიურ ფორმას.
126. რომელი არ მიეკუთვნება გადასახადების ფუნქციებს:
ა) ფისკალური ფუნქცია
ბ) სოციალური ფუნქცია
გ) რეგულირების ფუნქცია
დ) ფინანსური ფუნქცია.
127. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც კონკურენტებისაგან შიგა ბაზრის დაცვას და საგარეო ბაზრის დაპყრობას გულისხმობს, არის:
ა) საგარეო ბაზრის პოლიტიკა
ბ)პროტექციონიზმი
გ) შიგა ეკონომიკური პოლიტიკა
დ) ლიბერალური პოლიტიკა.
128. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ევროკავშირის მმართველობის ორგანო:
ა) ევროსასამართლო
ბ) ევროპული კომისია
გ) ევროარბიტრაჟი
დ) ევროპარლამენტი.
129. მსოფლიო მეურნეობამ ევოლუციის შედეგად განვითარების რამდენი ეტაპი განვლო:
ა) ერთი
ბ) ორი
გ) სამი
დ) ოთხი.
130. სხვადასხვა ქვეყნის ფულად ერთეულებს შორის თანაფარდობა მათი მსყიდველობითი უნარის მიხედვით, არის:
ა) პარიტეტი
ბ) სავალუტო ინტერვენცია
გ) ვალუტის გამყარება
დ) საგადასახდელო სალდო.
131. საქონელთა ექსპორტი მის თვითღირებულებაზე დაბალი ან საშინაო ბაზრის ფასზე უფრო დაბალი ფასით, არის:
ა) პროტექციონიზმი
ბ) დემპინგი
გ) ლიბერალიზმი
დ) საექსპორტო პოლიტიკა.
132. დროის გარკვეულ მონაკვეთში წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება, არის:
ა) ეროვნული შემოსავალი;
ბ) მთლიანი შიდა პროდუქტი.
გ) მთლიანი ეროვნული პროდუქტი;
დ) ეროვნული სიმდიდრე;
133. დროის გარკვეულ მონაკვეთში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და საზღვარგარეთიდან მიღებული წმინდა შემოსავლების ჯამი, არის:
ა) ეროვნული შემოსავალი;
ბ) ეროვნული სიმდიდრე;
გ) მთლიანი ეროვნული პროდუქტი;
დ) მთლიანი შიდა პროდუქტი.

134. ეროვნული წარმოებიდან მიღებული ყველა სახის შემოსავალი, არის:
ა) განკარგული შემოსავალი.
ბ) ეროვნული სიმდიდრე;
გ) მთლიანი ეროვნული პროდუქტი;
დ) ეროვნული შემოსავალი;
135. მთლიან ეროვნულ პროდუქტს გამოკლებული ამორტიზაციის თანხა, არის:
ა) პირადი შემოსავალი;
ბ) წმინდა ეროვნული პროდუქტი.
გ) ეროვნული სიმდიდრე;
დ) განკარგული შემოსავალი;
136. მიღებული შემოსავალი, რომელიც გაიანგარიშება ეროვნული შემოსავლიდან მოგების გადასახადის, დაზღვევის ანარიცხების და გაუნაწილებელი მოგების გამოკლებით, არის:
ა) პირადი შემოსავალი;
ბ) განკარგული შემოსავალი;
გ) ეროვნული შემოსავალი;
დ) წმინდა ეროვნული პროდუქტი.
137. ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის დაკრედიტების პრინციპი:
ა) კრედიტის მიზნობრიობა;
ბ) კრედიტის ანაზღაურებადობა;
გ) კრედიტის სარგებლიანობა;
დ) კრედიტის უზრუნველყოფა.
138. ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის კრედიტის ზოგადი ფუნქცია:
ა) ფინანსური ფუნქცია.
ბ) საკონტროლო ფუნქცია;
გ) ემისიური ფუნქცია;
დ) გამანაწილებელი ფუნქცია;
139. ეროვნული წარმოების მოცულობას, რომელიც ფასების განსაზღვრული დონის პირობებში მიიღწევა გვიჩვენებს:
ა) ერთობლივი დანახარჯი.
ბ) ერთობლივი მიწოდება;
გ) ერთობლივი პროდუქტი;
დ) ეთობლივი მოთხოვნა;
140. რომელი არ მიეკუთვნება ეკონომიკური ზრდის ირიბ ფაქტორებს:
ა) ფასების დონე წარმოების ფაქტორებზე
ბ) საგადასახადო ტვირთის სიმძიმე
გ) კაპიტალის რაოდენობრივი ზრდა
დ) კრედიტის მიღება და სარგებლის ნორმა.
141. გრძელვადიან პერიოდში ეროვნული წარმოების ფაქტორების და მისი მაკროეკონომიკური შედეგების რაოდენობრივი ზრდისა და თვისობრივი სრულყოფის პროცესი, არის:
ა) ეკონომიკური ზრდა;
ბ) ეკონომიკური ეფექტიანობა;
გ) შრომის ნაყოფიერება;
დ) ინტენსიფიკაცია.
142. ეკონომიკური ზრდა, რომელიც მიიღწევა შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, როცა პროდუქციის მატება ხდება წარმოების ფაქტორების ეფექტური გამოყენებით, არის:
ა) მუდმივი ზრდა;
ბ) ექსტენსიური ზრდა;
გ) ეკონომიკური ზრდა;
დ) ინტენსიური ზრდა;
143. სახელმწიფოს სოციალურ–ეკონომიკური მიზნების მიღწევაზე მიმართული, ღონისძიებათა სისტემა, არის:
ა) სახელმწიფოებრივი მიდგომა;
ბ) სახელმწიფოს კონცეფცია;
გ) სახელმწიფოს მიზანი ეკონომიკაში;

დ) ეკონომიკური პოლიტიკა.

144. სხელმწიფოს მიერ ფასების ხელოვნური გაყინვა, რაც საქონლის დეფიციტს და ხარისხის გაუარესებას იწვევს, არის:

ა) ზომიერი ინფლაცია

ბ) ღია ინფლაცია

გ) ფარული ინფლაცია

დ) მოთხოვნის ინფლაცია

145. ბიუჯეტის დეფიციტი, გამოწვეული შემოსავლების შემცირებით ეკონომიკური აქტივობის ვარდნის გამო არის:

ა) პასიური დეფიციტი.

ბ) ზომიერი დეფიციტი;

გ) საგადასახადო დეფიციტი;

დ) აქტიური დეფიციტი;

146. ძირითადი კაპიტალის ნაწილების ექსპლოატაციის ხანგრძლივობა არის ეკონომიკის ციკლური განვითარების:

ა) კაპიტალის ფაქტორები;

ბ) გარე ფაქტორები;

გ) შიგა ფაქტორები;

დ) ციკლურ ფაქტორები.

147. ჩამოთვლილი ტერმინებიდან რომელი არ განიხილება ეკონომიკური სისტემების დახასიათებისას:

ა) ტრადიციული

ბ) ცენტრალიზებული

გ) კაპიტალისტური

დ) შერეული

148. უნარ-ჩვევათა ერთობლიობა, რომელსაც ადამიანები წარმოების პროცესში იყენებს არის:

ა) ადამაინური კაპიტალი

ბ) ფინანსური კაპიტალი

გ) ბუნებრივი რესურსი

დ)კაპიტალური რესურს.

149. რკინის მადანი შესაძლებელია იყოს:

ა) ბუნებრივი რესურსი

ბ) კაპიტალური რესურსი

გ) ა და ბ

დ) არც ა და არც ბ.

150. შრომისათვის გადასახდელს ეწოდება:

ა) მოგება

ბ) დანაზოგი

გ) ხელფასი

დ) სარგებელი

ლიტერატურა:

1. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები. თბ., 2008.
2. ვეშაპიძე შ. ეკონომიკის საფუძვლები, ელექტრონული, 2015. nplg.gov.ge საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“.
3. სამადაშვილი უ., შენგელია რ. თანამედროვე ეკონომიკა. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013
4. ასათიანი რ., თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. გამომცემლობა ”სიახლე”, თბ., 2014.
5. ბერიძე ლ., ჭიპაშვილი მ. ეკონომიკის საფუძვლები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2015